# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 193 სამშაბათი, 1 სექტემბერი 1909 წ. № 193

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ სამშაბათს, 1 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, ბანკის სადგომში ფრეილინის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა სახლში გადახდილი იქნება პანაშვიდი ბანკის ყოფილ თავმჯდომარის

### თავ. ილია გრიგორის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად. (1—ნ.—1)



კვირას ექვს ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### თ-დის სიმონ დავითის ძის გუგუნავას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და პატივისმცემელთ ქვრივი განსვენებულისა კნ. ფეოდოსია ნიკოლოზის ასული და შვილები თ-დი დავით და გრიგოლ სიმონის ძენი გუგუნავები. (2—კვ.—1)



წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმერეთი"

(წინანდელი „კოლხიდა" ქუთაისში)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გიმნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ, ალ. თუმანოვის სახლებში და იწყებს ვაჭრობას ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით. ფოსტის და გერბის მარკებით და სხვა.

კანტორას მოსდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო ქალაქებიდან ფართოდ გავრცელებული ჟურნალ-გაზეთი და იღებს მათზე ხელის მოწერას. ვისაც სურს ახ ლი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ ახალ წიგნებს, გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების სურათებს, ნახატებიან ღია ბარათებს და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ განცხადებებს გაზეთებში დასაბეჭდათ საკომისიოთ წიგნებს და წარმომადგენლობას მთელ გუბერნიისათვის, წიგნების გამომცემლების, რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარეთ რუსულ-ქართული „რემინგტონი" და მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. (6—კვ.—2)



## სამუსიკო სასწავლებელი ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

გადავიდა ახალ ბინაზე: საპიორის ქუჩა, სახლი ყლენტისა, № 18.

მასწავლებელთა სია: (ფორტეპიანოზედ,) კნ. ბ. ამირაჯიბისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ო. მ. პივოვაროვა-ბერგისა და ე. ვ. ფოგელისა. (ვიოლინოზედ,) ა. ნ. ყარაშვილი, (სამუსიკო ელემენტარული თეორია, 1 და 2 კურსი ჰრმონიისა, ენციკლოპედია და ხოროს კლასსები) ზაქ. პ. ფალიაშვილი, (ნოტების კითხვა) გ. ი. ნატრაძე.

მოწაფეების მიღება დაიწყება ამა აგვისტოს 25 დან, სწავლა 1 ენკენისთვიდან. კანცელარია, როგორც სკოლისა, ისე საზოგადოების გამგეობისა ღიაა დილის 10 ს.-დან 1-მდე და საღამოს 5—7-მდე.

ფასი სწავლისა: ფორტეპიანოზე—60 მან., ვიოლონჩელზე—60 მან., მუსიკის თეორია—15 მან. წელიწადში. (5—ნ.—5)



**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი.
კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—12)

**ექიმი** გ. მაგაკიანი.
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ნალ.—19)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი
აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—7)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფებსი მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—50)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე
დაბა ყვირილაში
მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—8)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1/2}$—3 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოსვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**იპ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ ს.

**არღუთინსკი**—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—86)



ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**გ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 2—3 ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—145)



**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირონნო, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში
9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—54)

**ექიმი** გ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—1)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—238)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 148,

### ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლაში

სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს.

სკოლის მმართველობა უმორჩილესად სთხოვს მოსწავლეთა მშობლებს, ამაზე ადრე ნუ მოიყვანენ ქალებს, მით უმეტეს, რომ ვაკანსია არ არის და ბავშვები ტყუილად შესწუხდებიან სიარულით. (3—2)



**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ნალ.—2)

**აფთიაქი** სოფლისა იყიდება ანუ იჯარით იძლევა.
იკითხეთ: ველზინის ქ. N 17, სახ. ყიფიანისა. (2—431—2)

## იყიდება

იაფად საავარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს. (50—ნ.—25)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—18)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

გიორგი მიხეილის ძის ჩივაძისა ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით. (10—ნ.—6)

ქ. ქუთაისში

7 ენკენისთვიდან გამოვა ყოველ-კვირეული პროგრესიული გაზეთი

## ფონი

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ჩვენი მწერლები.

გაზეთი წლიურად ეღირება 3 მან., ხოლო თითო ცალი 5 კაპ.

ხელის მოწერა და წერილები მიიღება: წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთ"-ში, ალექსანდროვის ქ., ზ. კოკოჩაშვილის სახლში № 5 და მაღაზიის განყოფილებაში—ბულვარის პირდაპირ, გიმნაზიის ქ. (3—3)

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და სახუმრო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—4)



14 სექტემბერს გამოვა კვირეული გაზეთი

## „ერი"

ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში გ. ავალიშვილთან.

გაზეთი წლის ბოლომდე ეღირება 2 მან., თითო ნომერი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: არაგვის ქ., № 5.

რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე. (4—1)

## ა. ა. მირიანაშვილის

3 კლ. სახელოსნო სასწავლებელი

გადატანილ იქმნა მე-9 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე, სახლი № 13; იქვე ასწავლიან წერა-კითხვასაც. მოწაფეების მიღება ყოველ დღეა, ვიდრე სექტემბრის დამლევამდე. (2—427—2)

წერა-კითხვის საზოგადოების

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თავისუფალია მასწავლებლის ადგილი ს. დიდ-გომარეთში (ბორჩალოს მაზრა).

მასწავლებელს ექნება სამი თუმანი თვეში და ბინა.

მსურველთ უნდა წარმოადგინონ თხოვნები და საჭირო დოკუმენტები არა უგვიანეს 10 სექტემბრისა. (2—2)

ქუთაისში

გამოვიდა ახალი გამოცემა

## „კოლხიდა"-სი

„სახმო წესით" კითხვის სწავლება—ანდრია შუბლაძისა—ფასი 10 კაპ. და „ქართული მოძრავი ასოები"—ფ. 5 კაპ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიასა და გაზეთების აგენტებთან. (5—კვ.—2)


## დეპეშები

(პეტ. ტ. სააგენტოსაგან)

30—31 აგვისტო

### სპარსეთი

**თეირანი.** შაჰად ნამყოფმა ღამე მირაბადში გაატარა, დილით ენზელისკენ გაემგზავრა. ენზელამდე მისვლას შაჰად ნამყოფი 12 დღეს მოუნდება. რადგან ფიდაები მრავლად ირევიან, ცნობის-მოყვარე სპარსელები ვერა ჰბედავენ შაჰად ნამყოფის მიგებებას.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თავრიზიდან დეპეშით ატყობინებენ: გუბერნატორმა სათარ-ხანის უფროსობით არდებილში 500 ცხენოსანი გაჰგზავნა. სათარ-ხანმა ყაჩაღთა ბრბოეაი უნდა გაჰფანტოს და გზებზე წესიერი მისვლა-მოსვლა აღადგინოს. სათარ-ხანს შველიან შაჰსევანები. შაჰსევანები დაეცნენ ყარადაღის ხანს.

**თავრიზი.** გუშინ 480 დატვირთულ აქლემით არდებილიდან დაბრუნდა ყაზახთა ბრიგადის უფროსი. საქონელი რუსული ნაწარმოებია, ღირებული 800000 მანეთად. გზაში არავითარი დაბრკოლება არ შეჰხვედრია ჯარს. ეხლა არდებილის გზა გახსნილია საქონლის გადასატანად. თავრიზში ვაჭრობამ იმატა.

### ოსმალეთი

**ოსმალეთი.** ოფიციალური ორგანო პატრიარქისა უარყოფს გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმას, თითქოს სტამბოლის პატრიარქს თავისი რეზიდენცია დროებით მოსკოვში გადაეტანოს.

შინაგან საქმეთა მინისტრს მოლაპარაკება აქვს სომხის პატრიარქთან, რომ უკან გაიტანოს თავისი თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. ორ სომეხს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი, სასჯელი აპატიეს, მხოლოდ ხუთის შესახებ მოსალოდნელია ხელმეორედ გაირჩეს საქმე.

**სალონიკი.** წინა ღამეს „ოტელო კოლომბო"-ს მახლობლად უცნობებმა მძიმედ დასჭრეს მკერდში ბოლგარელთა რაზმის ყოფილი უფროსი გერასიმე ოგნიანოვი, სანდანსკის მომხრე. ფიქრობენ, რომ შეთქმულობაა მოწყობილი სანდასკის მომხრეთა მოსასპობად.

### საზღვარ-გარედ.

**იოკაგამა.** „ჯაპანტაპისი" სწერს: ჩინეთ-იაპონიის შეთანხმება ახალ ხანას იწყებს. თოთხმეტი წლის განმავლობაში ჩინეთსა და იაპონიას შორის მეგობრული ურთი-ერთობა არსებობდა. იმ უთანხმოებებმა, რომელიც წინად სხვა და სხვა საკითხს გამოუწვევია, იმდენად ოფიციალური წრეები არ შეუფიქრიანებია, რამდენადაც ხალხი. ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხის მიერ გამოწვეული უთანხმოება დიდი ხნით გადაუწყვეტელი დარჩენილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩინეთ-იაპონიის შეტაკება არ მოსვლიათ, თუმცა სხვა საბაბიც იყო, მაგალიტად სახელმწიფოების ინტრიგები, რომ ჩინეთი და იაპონია ერთი-ერთმანეთზე ამხედრებულიყვნენ. ეხლანდელი შეთანხმება, დაფუძნებული ურთი-ერთ ნდობაზე, უზრუნველ ჰყოფს შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მშვიდობიან განვითარებას. ესევე შეთანხმება ამტკიცებს უსაფუძვლობას იმ ინტრიგებისას, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შეტაკებისაკენ იყო მიმართულიო.

**სალონიკი.** დასრულდა ბოლგარიის საკონსტიტუციო კლუბების წარმომადგენელთა კონგრესსი.

**ნიუ-იორკი.** სანტ-იაგოში ინჟინერმა მაკ ფონ-ნისსელბერგმა (ნისსელბერგმა კუკთან ერთად იმოგზაურა 1897—1899 წლებში ჩრდილოეთის პოლიუსისკენ) დაამოწმა, რომ კუკი უსათუოდ მიაღწევდა ჩრდილოეთ პოლიუსსაო. კუკი მხნე კაცია და ძალიან იყო გატაცებული ჩრდილოეთის პოლიუსის აღმოჩენითო.

**მელილია.** ნაპირზე გადმოსხეს გენერალ სატამაიორის დივიზიის ორი პოლკი, არტილერია და სასანიტარო რაზმი.

**მადრიდი.** მელილიიდან ოფიციალურად იუწყებიან: უკან დაბრუნდა პოლკოვნიკ ლარრეს რაზმი. პოლკოვნიკ ლარრეს რაზმი ექვსი დღე ათვალიერებდა მელილის მიდამოებს და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გაუსვრიათ თოფი. რიფის ქაბალებმა მორჩილება უკვე გამოაცხადეს. იმედია, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები საბოლოოდ დამკვიდრდებიან.

**გლასგო.** ლორდმა როზბერიმ დიდი სიტყვა წარმოსთქვა. მისი სიტყვის მოსასმენად აუარებელი ხალხი შეიკრიბა. როზბერი ამტკიცებდა, პარლამენტში მთავრობის მიერ შეტანილი მომავალ წლის ბიუჯეტი, პარლამენტმა უნდა უარყოსო. თუ ბიუჯეტი დამტკიცდა, სთქვა, როზბერიმ, აუარებელი მუშა ქუჩაში დარჩება, რადგან ბიუჯეტი კაპიტალისტებს აღარიბებსო. ორატორის აზრით ბიუჯეტი საზარალოა როგორც მუშებისათვის, ისე კაპიტალისტებისთვის.

**საიგონი.** საფრანგეთის ჯარმა იერიში მიიტანა იმ სოფელზე, რომელსაც თავი შეაფარეს ზღვის ყაჩაღებმა. ყაჩაღებმა მოჰკლეს 4, დასჭრეს 9 სალდათი. ამის გარდა მზემ დაჰკრა ოთხ სალდათს. ოთხთავენი გარდაიცვალნენ. მოკლულია ზღვის ათი ყაჩაღი.

**კარლსრუე.** ჩამოვიდა იმპერატორი ვილჰელმ მეორე. იმპერატორმა დაათვალიერა ჯარის მეთოთხმეტე კორპუსი. ქალაქის თავმა იმპერატორს სიტყვით მიმართა. იმპერა-

ტორმა ქალაქის თავს, სხვათა შორის უპასუხა: გერმანელებს უყვართ სამხედრო საქმე, სიამოვნებით ატარებენ იარაღს, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ამით ხელს უწყობენ მშვიდობიანობის დაცვას. სანამდის ომი არსებობს, გერმანიის ჯარი იმ კლდეს წარმოადგენს, რომელზედაც დაყრდნობილი იქნება მშვიდობიანობა. გერმანიის ჯარის მიზანია, დაიცვას მშვიდობიანობა და უზრუნველ-ჰყოს გერმანიის ის მდგომარეობა, რომელიც ეხლა მას უჭირავს.

**ბერლინი.** დილის 4 საათსა და 50 წუთზე ჰაეროპლანი „ცეპელინ მესამე“ ფრანკფურტისკენ გაფრინდა. ნაშუადღევის 2 1/4 საათზე „ცეპელინ მესამე“ კალსრუეზე გადაფრინდა, იმპერატორის სასახლესთან ჰაერში ცოტა ხანს გაჩერდა და შემდეგ ნოკკენჰეიმისკენ გაფრინდა. 3 საითსა და 46 წუთზე ცეპელინისგან დეპეშა მოვიდა, მოტორი დაზიანდაო. მოტორის შესაკეთებლად ცეპელინი დაუყონებლივ მანგოჰში გაფრინდა.

**მაინის-ფრანკფურტი.** საღამოს 9 საათსა და 48 წუთზე ჰაეროპლანი „ცეპელინ მესამე“ მიწაზე დაეშვა.

### რ უ ს ე თ ი

**სამარა.** ტროიცკსა და კუსტანიის შუა ოთხი კაცი თავს დაეცა ფოსტას. თავდამსხმელები გაიქცნენ. ფული არ გაუტაცნიათ. ჰფიქრობენ, რომ სროლის დროს ერთი ბოროტ-განზრახველი დაიჭრაო.

**მოსკოვი.** კუნცევოს სადგურის მახლობლად 5 კაცი თავს დაეცა ქალაქის გამგეობის მეარტელეს ვოლკოვს, რომელსაც დარაჯი ჩისტიაკოვის თანხლებით რუსლიოვკაში 4,600 მანეთი მიჰქონდა. ფული მუშებისთვის უნდა დაერიგებინათ. ბოროტ-განზრახველებმა ფული ვერ გაიტაცეს. დარაჯი მოჰკლეს. ვოლკოვი და მეეტლე გადარჩნენ.

**პეტერბურგი.** ქალაქებს ომსკსა და ატამანსკში და სოფელ პეტროპავლოვსკაში სამხედრო წესების მაგიერ გაძლიერებული წესები შემოიღეს. პეტროპავლოვსკისა და ომსკის მაზრებში სამხედრო წესების მაგიერ გაძლიერებული წესები იქნება შემოღებული.

**ჩერნიგოვი.** დილით რამდენიმე ტუსაღი მიჰვარდა ორ ზედამხედველს. ერთი დაარჩეს, ააცალეს იარაღი და საკანების გასაღებები, ცეცხლი წაუკიდეს ტუსაღთა ლოგინებს და ყველა ტუსაღი ეზოში გამოუშვეს. ტუსაღების დასამშვიდებლად და წესიერების აღსადგენად მოვიდნენ საერობო დარაჯები. დარაჯებმა წესიერება აღადგინეს. მოჰკლეს 2 ტუსაღი და დასჭრეს მძიმედ—2, მსუბუქად 8 ტუსაღი.

**ეკატერინოსლავი.** გასცარცვეს მიხაილოვკის ფოსტის განყოფილება. გაიტაცეს 2,588 მანეთი. მცარცველები მიიმალნენ.

**ჩერნიგოვი.** გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება. ამ დადგენილებით სოფლის საზოგადოებებმა უნდა განსაკუთრებული პირები დაიქირაონ. ეს უკანასკნელნი მოვალენი იქნებიან პოლიციას დაუყოვნებლივ შეატყობინონ ძარცვა-გლეჯის ამბები. ამას გარდა დადგენილებით აღკრძალულია ყაჩაღების დამალვა, ყაჩაღებისათვის გზის ჩვენება, საჭმლის მიცემა და სხვა. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, მას ადმინისტრატიულის წესით 500 მანეთით დააჯარიმებენ, ან სამი თვით დააპატიმრებენ.

**ოდესსა.** ნოვიკოვის თოკეულობის ქარხანამ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად მუშების გაფიცვის გამო დაიხურა, მუშაობა განაახლა. ქარხნის გახსნა მუშებმა ითხოვეს. მუშები წინანდელ პირობებში იმუშავებენ.

**პენზა.** სოფელ ბორუკახში გადაიწვა 78 სახლი და წრევანდელი მოსავალი. დაიწვა სამი წლის ბავშვი და ორი ბებერი კაცი, ერთი 83 წლის.

**ეკატერინოდარი.** სოფელ დუბოვაია გორაში გადაიწვა 108 სახლი. ზარალი 30,000 მანეთს უდრის.

**კურსკი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია გოკოროვენა-ოტროკი, საგუბერნიო ერობის თავმჯდომარე, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი.

**მოსკოვი.** ღამე ოთხი შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა სადგურ ოპალიხას. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს კასსირი, სადგურის უფროსი ზერნოვი, დასჭრეს სადგურის მოსამსახურე და ზარინის ცოლი, გაიტაცეს 25 მანეთი და მიიმალნენ.

რომენსკის ქარხნიდან ითხოვენ 7000 მუშას. მიზეზი ის არის, რომ მუშები არ დასთანხმდნენ სამუშაოს ქირის დაკლებას.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ეგრედ წოდებულ შჩიგროვის რესპუბლიკის საქმე. თავდაპირველად ეს საქმე განიხილა კურსკის სამხედრო სასამართლომ. სამართალში მიცემულია 69 კაცი. კურსის სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა: 10 სიკვდილით დასჯა, მათ შორის მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფ პიანიხს, 25 სხვა და სხვა ვადებით კატორგა, მათ შორის მეორე სახელმწიფო სათათბირო დეპუტატებად ნამყოფებს მერკულოვს და და მღვდელ მოლოტკოვს, 35 გადასახლება. ბრალდებულებმა განაჩენი სენატში განასაჩივრეს. სენატმა დაამტკიცა კურსკის სამხედრო სასამართლოს განაჩენი.

**გროდნო.** [illegible] სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (გროდნოს გუბერნიიდან) სოლოვეი.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 57, გარდაიცვალა 28, ავად არის 293 კაცი.

**პეტერბურგი.** დვინსკში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 3 კაცი; დრისაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი; კიევში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 2 კაცი; კიევის გუბერნიაში ავად გახდა 1 კაცი; კოსტრომაში უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 3, კოსტრომის მაზრაში 2, ნერეხტის მაზრაში 8, იურიევის 2, კინეშემკის 2; გარდაიცვალა 3, მოგილევის მაზრაში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 9; ნოვგოროდის გუბერნიაში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 16 კაცი; უკანასკნელ კვირის განმავლობაში პერმში ავად გახდა 3, მაზრაში გარდაიცვალა 1 კაცი.

**პოლტავა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში კრემენჩუგში ავად გახდა 8, კრემენჩუკის მაზრაში 1, ხოროლის მაზრაში 4 კაცი, გარდაიცვალა კრემენჩუგში 7, ხოროლის მაზრაში 1 კაცი.

**რიგა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში რიგაში ავად გახდა 20, მაზრაში 2, პერნოვში 2 კაცი. გარდაიცვალა რიგაში 11, პერნოვში 1 კაცი.

**იაროსლავი.** მთელ გუბერნიაში ავად გახდა 103, გარდაიცვალა 50 კაცი.

**ტვერი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 52, გარდაიცვალა 12 კაცი; მაზრებში ავად გახდა: კერჩევსკის 12, ტვერის 5, კალიაზინის 1, კაშინის 1, ნოვოტორჟკის 2 კაცი. ტვერის მაზრაში გარდაიცვალა 2 კაცი.

**ბალახნა.** ავად გახდა 1 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 4 კაცი.

**პლოცკი.** ავად გახდა 18, გარდაიცვალა 3 კაცი.

**კიევი.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 3 კაცი.

**კრემენჩუგი.** უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ქალაქში ავად გახდა 7, მაზრაში 3 კაცი.

## ქართლის ვითარება

(მგზავრის შენიშვნები)

(დასასრული *)

დაუბრუნდეთ ისევ სკოლების მიმოხილვას. როგორც ნათქვამი გვქონდა, პატარა ლიახვის ხეობაში მხოლოდ ორი ერთ კლასიანი სკოლა-ლაღაფავს სულს, ისიც ქრისტიანობის ალმადგენელ საზოგადოების ხარჯზე აგებულნი და მისივე ხარჯით დაკმაყოფილებულნი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად დამშეული იქნება უსკოლობით პატარა ლიახვის ვეებერთელა ხეობა, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული. არც დიდი ლიახვის ხეობაა ამ მხრით უკეთეს მდგომარეობაში. მთელ ამ მოზრდილ ხეობაში, ჯავის ხეობაზე გადასვლამდე, მხოლოდ ცხინვალშია სკოლა... სამინისტროს „ნორმალური ორ კლასიანი სკოლა“!!! ამ ფაქტსაც არ ესაჭიროება, მგონი, განმარტება. ჯავაშიაც (ოსეთშია) სულ ოთხიოდე პირველ-დაწყებითი სკოლა ბჟუტავს, ისევ იმ ქრისტიანობის ალმადგენელ საზოგადოებისა! სხვა ამოდენა ქვეყანა, უფრო მჭიდროდ დასახლებული, ვიდრე პატარა ლიახვის ხეობა, უსკოლოდ არის დარჩენილი და რასაკვირველია, რომ აქაური გლეხობა დაქვეითებულ-დამაბუნებული იყოს და მასში გაედგას ფესვები ყოველსავე ცრუმორწმუნეობას!..

ჩვენ მიერ აღნიშნულ ხეობათა რაიონი განათლების მხრივ სამ უწყების გავლენის ქვეშ იმყოფება: განათლების სამინისტროსა, სინოდისა და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა. ამათ სამთავეთ ჰყავთ ზოგს „სახალხო სკოლების ინსპექტორები“ და ზოგსაც „სამაზრო სკოლების მეთვალყურეები“. თუ რამდენად ასრულებენ ესენი თავიანთ დანიშნულებას, ეს ზემო ნათქვამიდან ცხადზე-უცხადესია, მათზე ზედ გამოჭრილია ის თქმულება, თუ „შვიდმა ძიძამ“ როგორ გამოსთხარა ერთ საცოდავ ბავშვს ორივე თვალი! საერო თუ სასულიერო მთავრობა ნიშნს უგებს გლეხობას: თქვენ არ იყავით, მოძრაობის დროს სკოლები დაგვიხურეთო, სკოლები დაგვიწუნეთო! ჩვენ იმათ გაუხსნით სკოლებს, ვინც ჩვენი ყურმოჭრილი მონა-მორჩილიაო.

მართლაც, სამოსწავლო უწყებებმა, როგორც სამინისტროსამ, ისე განსაკუთრებით, სინოდალურმა, მთელი თავიანთი ყურადღება და ნივთიერი ღონისძიება ყარს-ერევან-განჯა-ბაქოს გუბერნიების მცხოვრებთ მიაქციეს—მიანდეს. ჩვენში დაკეტილ-გაუქმებულ სკოლებს კრედიტი ხსენებულ გუბერნიების სოფლებში გადაიტანეს, კრედიტი როგორც სახაზინო-სასინოდო, ისე ადგილობრივი, ეგრედ წოდებული საერობო. როგორც ვიცით, ყოველ წლიურ საეკლესიო სკოლების სასარგებლოდ საერობო თანხიდან, გადაიდების ხოლმე 23 ათასი მანეთი! საკვირველია, სად მიდის ეს ფული?! ერგებათ თუ არა ქართველთ სოფლებს ამ თანხიდან წილი? ჩვენის აზრით, უნდა ერგებოდეთ, ვინაიდან „მართლმადიდებელ“ ელემენტთაგან უმეტეს საერობო გადასახადებისას ქართველები იხდიან, იმ უბრალო მიზეზით, რომ უკანასკნელი ეპარქიის მართლ-მადიდებელთა რიცხვში უმეტესობას შეადგენენ. მაგრამ ვინ არის გამკითხველი, ვინ არის პატრონი! საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს ქართველი წევრები კი ფრთხილობენ და ამ სათნოებისათვის თავის დროზე იღებენ ხოლმე შესაფერ ჩინ-ორდენებს...

ჩვენ მუდამ მთავრობას შევსცქეროდით ხელში—აბა რას „გვიწყალობებს“, აბა რას გადმოგვიგდებსო! ასეთი ჩვენდამი „მზრუნველობით“ კი მიძინებულ იქმნა ჩვენში თვითმოქმედება, რომელიც ერთად-ერთი საიმედო ბერკეტია ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ერის ფეხზე წამოდგომისა, მის გაღონიერება—გაკულტუროსნებისა. ამ ჟამად ერობის შემოღებას გვპირდებიან, მასზე ბჭობს და ვარაუდობს საერობო კომიტეტის სხვა-და-სხვა სექცია. მაგრამ ჯერ კიდევ კომისიებს და სექციებს ვერ გაუცილებია ჩვენში ერობის შემოღების საქმე. ძნელია ამიტომ ვიცოდეთ, თუ როგორი ერობა მოგვეცემა, ან თუ მოგვეცემა ის, რის გაკეთების უნარი ექნება. ამის შემდეგ, რა გასაკვირველია, რომ ბევრს დიდი იმედი ჰქონდეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა. ამ საზოგადოებამ თითქმის ეხლა დაიწყო მხოლოდ მოქმედება. ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში არსდება განყოფილება. ჩვენის აზრით ამ განყოფილებებმა დიდი უნარი უნდა გამოიჩინონ, ისინი უნდა დაეპატრონენ დაჩაგრულ ჩვენი ერის განათლების წმინდა საქმეს, ყოველივე ზომა უნდა მიიღონ სკოლების გამრავლება—დაარსებისათვის, განსაკუთრებით ქართლში, რომელიც ძლიერ ჩამორჩენილია ამხრივ ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეებს. ქართლში იმ გვარია დღეს საქმის ვითარება, რომ თუ არ ასეთი კულტურულ ორგანიზაციის საშუალებით, სხვა ფრივ შეუძლებელია განათლების შეტანა დაბეჩავებულ გლეხობაში.

წერა-კითხვის საზოგადოების გორის განყოფილებამ განსაკუთრებული სიფხიზლე და საქმიანობა უნდა გამოიჩინოს ამ დიდ მოვალეობის ასრულებაში; მან თავის ზნეობრივ კონტროლის ქვეშ უნდა იყოლიოს სოფლის მღვდელი, ერი და ბერი, რომელთაც რაიმე განათლების შეწყობა შეუძლიანთ ხალხში ლების შეტანის საქმეში. ჩვენმა ქველ-მოქმედებმაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სახალხო განათლების განმტკიცებას [illegible] და არ დაზოგონ თავიანთი შეწირულებანი ამ საქმის [illegible]. [illegible] აზრით, უფრო ნაყოფიერი და მიზნის შესაბამი იქნება ჩვენი ერის მომავლისათვის სახალხო სკოლების მოვლა-პატრონობა, ვიდრე მთელი თავიანთი ქველ-მოქმედება სხვა და სხვა ჯურის სტუდენტთა სტიპენდიებს მოანდომონ. ესენი უმეტეს ნაწილად მთავრობის მოხელეებად გამოდიან, ან პირად სიამოვნებას და ფუფუნებით ცხოვრებას ანდომებენ მთელ თავიანთ სიცოცხლესა და მოქმედებას. სტიპენდიების ნაწილით კი რამდენიმე პირველ-დაწყებით სკოლის შენახვა შეიძლებოდა გაღატაკებულ სოფლებში. ესეც არ იყოს, სტუდენტები მაინც მოახერხებენ, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დასრულებას, თუ, რასაკვირველია, როგორც „საბანი გასწვდებათ, ისე ფეხს გასჭიმავენ“...

თუ ამ გზით წავა საქმე, შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ ქართლი გადახალისდება, რომ ეს მრავალ-ტანჯული მხარე, ჩვენ მრავალ-წამებულ სამშობლოსი ისევ ქართლის დედად ითვლებოდეს, საქართველოს მტკიცე ზღუდეს შეადგენდეს...

**არა-ქართლელი.**

*) იხ. „დროება“ N 192.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**პანაშვიდები.** შაბათს, 29 აგვისტოს, წიწამურში, სადაც ვერაგულად მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ინიციატორობით, გადახდილ იქნა პანაშვიდი. დილით ტფილისში წვიმა იყო და ამის გამო ქალაქიდან ბევრნი ვერ წავიდნენ. რამდენიმე კაცი წასულებს მცხეთაში შეუერთდა. წინადვე წასულიყვნენ დედათა მონასტრის იღუმენია ნინო და მონოზნები. ნაშუადღევის 1 საათზე ყველანი წიწამურში იყვნენ. იქ თავი მოეყარა სამოცამდე საგურამ-ელ გლეხს. იყვნენ ქალებიც. მოსულიყვნენ აგრეთვე საგურამოს ილიას სახელობის სკოლის მოსწავლენი. პანაშვიდი გარდაიხადეს მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის წინამძღვარმა დეკ. რუსიშვილმა, ქალთა მონასტრის მღვდელმა გძ ლიშვილმა, საგურამოელმა მღვდე-

## ჩვენებური ფილისტერობა და ეროვნული საკითხი

(დასასრული *)

დონკიხოტურ ბრძოლას ეწევა რაჟდენიძე თავის ფელეტონთა დასასრულში („ჩანგი“, № 22). ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზედ, რომ ჩვენში არც ბურჟუაზია არის განვითარებული, თავად-აზნაურობა გადაგვარებულია, გლეხებიც წელში გატეხილი და პროლეტარიატიც უმცირესი ნაწილი ერისა, დევნილი ყველასაგან მეთქი. ის კი მეუბნება, —B-ს სოციალიზმი არა სწამს, ექსპროპრიაცია ექსპროპრიატორთა ოცნებად მიაჩნიაო. მომავალშიაც ვერ წარმოუდგენია ქართველი ერის აღდგენა ბურჟუაზიის გარეშეო! დიახაც! ის ერი, რომელსაც არა ჰყავს განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში ეროვნულ სიმდიდრის შემქნელი კლასსი, სამერმისოდ ვერაფერს ვერ შექმნის და მისი მომავალი ძლიერ საეჭვოა, თუ სხვა ერს კონკურენცია ვერ გაუწია და ამ უკანასკნელმა ჩაიგდო ხელში მისი ავლა-დიდება, მიწა-წყალი და ბუნებრივი სიმდიდრე. ეს ჭეშმარიტებაა, და აკი ყოველი ერი, ყოველი სახელმწიფო სცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომლის წყალობითაც მათ შეეძლებათ ეკონომიურად ამაღლება თვით რუსეთი პირველი მაგალითია ასეთის ცდისა.

რაჟდენიძეს ყველაზე უფრო ისა სწყინს, რათ წამოგვცდა ჩვენ პროლეტარებზე სიტყვა „კლასსიური გაღვიძების“ შესახებ, რათ მიგვაჩნია ქართველ პროლეტარიატის დევნა ეროვნულ მოვლენად. სწორედ იმაშიაც არის საქმე, რომ „კლასსიურ გაღვიძების“ შემდეგ კიდევ უფრო სდევნის უცხო კაპიტალიზმი ჩვენს მუშებს (ამას დაუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომ ზოგიერთი ყოფილი მუშები და არა მუშები ხშირად სხვა და სხვა პარტიის სახელით შანტაჟსა და ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ, უმეტესად ქართველები, და ამით მთლად დაუკარგეს ნდობა ერთობ ქართველ ხალხს შინ და გარედ). ჩვენი მუშა კი, საუბედუროდ, სხვაგან მიდის ლუკმა პურის საშოვნელად, შინ კი სუსტია კაპიტალიზმი; თუ არის, ისიც უცხოი, რომელიც განვიმეორებთ, თავისსას რჩეულობს, თავისას, რომელიც ოსმალეთში და აქაც დევნილია და შიმშილით იხოცება. მაშასადამე, ერთის მხრით ჩვენი პროლეტარიატის „უმაღლესი განვითარება“ (თუმცა ხან და ხან „უდაბლესიც“, რაიც კიდევ უარესია!) და მეორეს მხრით ეროვნული ანგარიში აიძულებს უცხო კაპიტალისტს თვისი არჩიოს ჩვენსას. ერთის მხრით იგი ინთავისუფლებს თავს რევოლიუციონურ ელემენტისაგან და ძვირ მუშა ხელისაგან, მეორეს მხრით თავის ეროვნების ხალხს ლუკმა-პურს აძლევს. ეს არის სწორედ, ეს ორმაგი დევნა ქართველ პროლეტარიატისა, რომ მას საშინელ მდგომარეობაში აყენებს. ეს ფაქტი აღვნიშნე, როგორც ჩვენი ცხოვრების ცუდი მხარე, რაჟდენიძე კი მოჰყოლია და მიკიჟინებს, შენ გინდა პროლეტარიატი დაემორჩილოს ბურჟუაზიასაო, რომ მეორემ პირველი ყვლიფოსო და სხვა. საიდან სადაო, წმინდაო საბაო, მე რას ვამბობ და ის რას მეუბნება!

არც ის მაგალითი ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ქართველი კაპიტალისტი ბაქოში რჩეულობს „ამშრებსა“ და ჩვენსას არ აძლევს სამუშაოს. იგი უფრო ჩვენ სასარგებლოდ ლაპარაკობს. მეტსაც გეტყვით,—თვით ჩვენში, ბაქოში კი არა, რჩეობენ სხვებს. ამისი მიზეზი ზემოხსენებული „კლასობრივი შეგნების განვითარებაა“, რომელიც ცოტა სხვა აზრით უნდა გაიგოს ჩვენში პროლეტარიატმა, თორემ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება. საფრანგეთში, ინგლისში,—ყველგან მუშებმა იციან, როდის და როგორ უნდა გამოაცხადონ ხოლმე გაფიცვა, ჩვენში კი ეს ნაკლებად იციან, და ხშირად კაპიტალისტებს მოაგებინებენ ხოლმე და თვითონ წაგებულები რჩებიან. წარა-მარა გაფიცვები აშინებს ბურჟუაზიას, აძებნინებს ისეთ მუშებს, რომლებიც ნახევარ ფასებში მუშაობენ და მთავრობაც ხელს უწყობს ასეთ მათ მოქმედებას. ხოლო მუშების უფრო დამჯდარი და რაციონალური მოქმედება სრულიადაც არ არის წინააღმდეგი კლასსთა ბრძოლისა და კლასსობრივ შეგნების განვითარებისა. აი, რას მოგახსენებდით და მოგახსენებთ ეხლაც, სწორედ ჩვენი მუშების ინტერესის თვალთსაზრისით. როცა ქვეყანა მტრადა გყავს გადაკიდებული, შენც ისე უნდა მოიქცე, რომ ბრძოლაში ერთი აფურფუტებით ყველაფერი არ წააგო!.

ხოლო ჩვენში რომ იყოს განვითარებული ბურჟუაზია და წარმოება გაჩაღებული, მაშინ ქართულ პროლეტარიატს უფლება აქვს აიძულოს ქართველი კაპიტალისტები უპირველეს ყოვლისა მათ მისცენ სამუშაო და მათ დაუკითხავად არავის. მთელი ევროპის მუშათა მოძრაობა, კომპანიონაჟიდან დაწყებული, ერთის მხრით ამ დიდი უფლების მოპოვებაა. ვინც იცის ეს ისტორია,—ეს დიადი ფაქტიც იცის. ასე იყო ინგლისში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა მათ ალაგმეს გერმანელი იაფ-ფასიანი მუშები, ინგლისელებს რომ თავიანთსავე სახლში ლუკმა-პურს ართმევდნენ, ასე იყო საფრანგეთში იტალიელების წინააღმდეგ, ასე იყო და არის განსაკუთრებით ამერიკაში ჩინელთა და სხვა ელემენტთა წინააღმდეგ. შემცდარია ის აზრი, პროლეტარს სამშობლო არა აქვსო. მას სამშობლო აქვს, მას აქვს უფლება მუშაობისა თავის სამშობლოში უწინარეს ყოვლისა, ყველაზე მეტი უფლება, და ეს უფლება ყველგან განიმტკიცა ევროპის პროლეტარიატმა. ინტერნაციონალურ სოლიდარობის პირველი გამოხატულება სწორედ ამ უფლების აღიარება უნდა იყოს ურთი-ერთისადმი. და, რასაკვირველია, ჩვენშიაც ასეთი უფლება უნდა მოიპოვონ მუშებმა, თუ ქართული კაპიტალიზმი იქნება; თუ კი უცხო იქნება—უცხოს ვერაფერს მოსთხოვ, რომ მოსთხოვო — მის პროლეტარიატთან მოგიხდება ბრძოლა, რაიც სწორედ უარ-ყოფა გამოვა სოლიდარობისა. ეს უცხო კი თავისას რჩეობს, არ შეიძლება რომ არ ირჩიოს, ეს ფაქტია სხვა არა იყოს რა, და ყველანი ვხედავთ თვალით. ბურჟუაზიას მარტო „ყვლეფა“ არ აინტერესებს, მას ათასი ეროვნული ინტერესი აქვს, და რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ემსახურება იგი ამ ეროვნულ ინტერესებს, განსაკუთრებით ისეთი ერის ბურჟუაზია, რომელიც გაბნეულია, ბინა არა აქვს და აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს სადმე, რომ თავიდან აიცილოს ელეტა და დევნა. ოჰ! რა ადვილი იქნებოდა რთულ პრობლემათა გადაწყვეტა, რომ მარტო „ყვლეფის“ მოვლენის მეტი არა იყოს რა სოციალურ ცხოვრებაში, ერთა ურთიერთ დამოკიდებულებაში! მაგრამ, საუბედუროდ, სოციალურნი მოვლენანი რთულნი არიან, და რაჟდენიძის „ყვლეფითა“ და „სოლიდარობით“ მათი გამოკვლევა ვერ დამთავრდება. ასე რომ ტყუილია, რაჟდენიძევ, თქვენი ჩივილი, რომ მე მინდოდეს მორჩილი პროლეტარიატი, „პოგრომშჩიკები“ და სხვა. ეს უბრალო ლაზღანდარობაა.

მე აღვნიშნე ის ფაქტი, რომ თანამედროვე პროლეტარიატი საქართველოსი შინ და გარედ დევნილია, შინ ლუკმას ვერა შოულობს, რადგანაც ქართული კაპიტალი არ არის და სხვას იგი არ უნდა, გარედ კიდევ უარეს მდგომარეობაშია. ჩემი აზრი ის არის, რომ ამ ნიადაგზე სოლიდარობის მაგიერ სხვა რამ აღმოცენდება (ამის ნიშნები უკვე იყო ბათუმში!), და მე ეს დამღუპველად მიმაჩნია, განსაკუთრებით ჩვენთვის. თქვენ კი მეუბნებით—ევროპაში სოლიდარობით არის განმტკიცებული პროლეტარიატთა კავშირიო. ევროპაში—დიახ, ევროპაში, სადაც ყველგან არის ეროვნული კაპიტალიზმი, სადაც ერთი ხალხის 40, 50, 60 მილიონია თვითო სახელმწიფოში, სადაც პროლეტარიატი მრავალია და მთავარი ერები თავისუფალნი არიან. ჩვენში კი არც წარმოებაა ჩვენი, სხვისიც სუსტია, და რაც არის, იმისაგან ჩვენი ხვედრი უმცირესია; ჩვენში, სადაც ორ მილიონ ხალხს მიწა ეცლება ფეხიდან და სხვა ერები გვაწვებიან, მშიერნი, დევნილნი და ღატაკნი; ჩვენში, სადაც არავითარი დახმარება არ შეუძლიან გაუწიოს საზოგადოებამ მშიერთა და ულუკმაპუროთა, რადგანაც არავითარი სიმდიდრე არა გვაქვს,—სხვა კი თავისას ეხმარება,—განა ჩვენში შეიძლება ლაპარაკი, ოცნებაც კი ისეთ მტკიცე სოლიდარობაზე, რომელიც ევროპაშია? აქ ბრძოლაა გახურებული მიწისათვის, ბინისათვის და ლუკმა-პურისათვის, ეს არის უღრმესი მოვლენა საქართველოსა და მთელ კავკასიის ცხოვრებაში, ამ ბრძოლის მსხვერპლი არა ერთი ხალხი შეიქმნა ჩვენ თვალ წინ; მაინც და მაინც დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ სოლიდარობაზე ყვირილსა, ჩაიხედეთ თვით მოვლენის სიღრმეში, და შეიძლება პრობლემა თქვენს გაბრწყინებულს გონებასაც უფრო რთულად მოეჩვენოს. მე ყოველივე ეს კი არ მიხარია, მწყინს, საშინელ მომავალსა ვხედავ ყველასათვის, და ერთად-ერთ გზად მიმაჩნია ერთა უფლებრივი განსაზღვრა, რომლის შემდეგაც არის მხოლოდ შესაძლებელი მათი სოლიდარობა. მაგრამ, აკი წინადაც გეუბნებოდით, ესეც პრობლემაა ჩემთვის, რადგან უფლებისათვის საბრძოლველადაც ჩვენს ერს ცოტა ძალა აქვს.

რა შუაშია, მაშასადამე, აქ ის, რომ B-ს სიტყვით „კლასსთა ბრძოლა ღუპავს მუშათა კლასსაო“, B-ს სიტყვით ქართველი მუშები არ ვარგიან და ევროპიელები კარგები არიანო, ქართველი ესდეკი არ ვარგა და ევროპიელი კარგიაო! არც კლასსთა ბრძოლა ღუპავს მუშებს და არც მაგაზე მქონია ლაპარაკი,—ეს მხოლოდ თქვენი დემაგოგიაა; არც მუშათა კლასსი გამილანძღავს, ხოლო ჩვენმა „სოლიდარობამ“ რომ ელეტამდის არ მიგვიყვანოს, ამისი მეშინიან. აგრეთვე, რომ ევროპიელები ჩვენ მუშებსა სჯობიან, რა საწყენია, და რომ ჩვენი ესკედები ყველა ამ საკითხის გადაწყვეტაში ბევრ

*) იხ. „დროება“, N 191.

ლმა და ჯვარი მამის ბერმა. გალობდა დედათა მონასტრის მონაზნების გუნდი. ჯვარი ყვავილებითა და ხის ტოტებით იყო მორთული. 30 აგვისტოს, მკვლელობის დღეს, პანაშვიდი გადაიხადეს თვით ილიას საფლავზე მთა-წმინდაში. ხალხი ბევრი დაესწრო. ეკკლესიაში წირვა და შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ.

✦ **საქმე საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მოკვლის შესახებ.** „გოლოს. მოსკვის“ სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მოკვლის საქმის გამოძიება უკვე დასრულდა. გაზეთი სწერს: „ჯერ ისევ გამოძიების დროს ზოგიერთი პირები, მონაწილენი მკვლელობისა, დაიხოცნენ ან სიკვდილით დასაჯეს, ზოგნი კი საზღვარ-გარედ გაიცნენ. თუმცა დამტკიცდა ზოგიერთი პირების მონაწილეობა ამ საქმეში, მაგრამ ფაქტიურად სამართალში ვისიმე მიცემა შეუძლებელი გახდა. ამის გამო საქმე თავის თავად ისპობა, რასაც იუსტიციის სამინისტრო ამ მოკლე ხანში სინოდს შეატყობინებს“.

✦ **გრიგოლ ეპისკოპოსის ჩამოსვლა.** ექსარხოსის მოადგილე ეპის. გრიგოლი დაბრუნდა რუსეთიდან ტფილისში. დღეს, 1 სექტემბერს, ვერაზე, სემინარიის ახალ შენობაში აკურთხებენ ეკლესიას. ამბობენ, ეპისკ. გრიგოლი კვლავ წავა რუსეთს.

✦ **სკოლის საჭიროება.** ქალაქის კუკიის სკოლის ქართულ (ასათიანის სკოლა) განყოფილებაში წელს 40 თავისუფალი ადგილი იყო, ხოლო მთხოვნელი ორასს აღემატებოდა, ამრიგად სკოლის გარედ დარჩა 198 მოსწავლე. აქედან აშკარადა სჩანს, რომ კუკიის აღნიშნულ რაიონში სამი ქართული სკოლაც ცოტაა. მშობლებმა აღარ იციოდნენ, რა ექნათ. მშობლებმა სდხოვეს ქ-ნ ასათიანისას, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე, გადაიდოს მეორე სკოლისთვის საჭირო თანხა. თუ ვინიცობაა საბჭომ არ გადასდო ფული, მშობლები იძულებულნი ხდებიან თითონ გაიღონ ფული სკოლის შესანახად.

✦ **სასოფლო სამკურნალო.** დუშეთის მაზრის სოფელ მუხრანში, სოფლის საზოგადოების ხარჯით არსდება სასოფლო საავადმყოფო. საუფლისწულო უწყების ადგილობრივ მამულების გამგე სოფელს ორას თუმანს აძლევს იმ პირობით, თუ სამკურვალოში ამ მამულის მოსამსახურეებს უსასყიდლოდ უექიმებენ („ტ. ლ.“)

✦ **ქართველების შეპყრობა ბაქოში.** ბაქოში, როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ერთ სასტუმროში შეუპყრიათ ორი ქართველი—აბრამიშვილი და ჟღენტი. უნახავთ ექვსი ფიტილიანი ყუმბარა. შეუპყრიათ აგრეთვე ქალი, რომელიც აბრამაშვილთან სცხოვრობდა თურმე.

✦ **ქალაქის სკოლების ახალი მასწავლებელნი.** შაბათს, 29 აგვისტოს, მოხდა სხდომა ქალაქის სკოლების გამგე კომისიისა. კომისიამ ქართველთა სკოლებისათვის ამოირჩია შემდეგი მასწავლებელი ქალები: ცინცაძე, ვახვახიშვილი, მარკოზაშვილი, ტაბუკაშვილი და თაქთაქიშვილი; კანდიდატებად ჟორდანია, გველესიანი, ყარანგოზიშვილი, ბაქრაძე, ნებიერიძე, შიუკაშვილი და ჩოლოყაშვილი. რუსულ სკოლებისათვის: მასწავლებლად—კალიშევსკაია, კანდიდატებად—ჟუკოვა, მიასნიკოვა, ნასიბოვა, პოლონსკაია, პაზიი და ფლორენსკაია. თათრულ სკოლებისათვის: მასწავლებლად—ეფენდიევი, კანდიდატებად—ბაგიროვი და ტალიმხანოვისა. სომხურ სკოლებისათვის: მასწავლებლად—საიკიანცი, ტერ-სტეფანოვი, სოლოვიანი, ხოჯაევი, გალოჩიანი და გუკასოვი; კანდიდატებად—როსტომიანი, ზურაბოვი, ალიხანოვი, პოპოვი, მირზოევი, მანუკიანი და ჯივანიანი. ავჭალის სკოლაში, კამისიის აზრით, საჭირო შეიქნა ისეთ მასწავლებლის დანიშვნა, რომელმაც უნდა იცოდეს ქართული და სომხური, რადგანაც ავჭალის ქალაქის სკოლაში სომხის ბავშვებიც სწავლობენ. კამისიამ ავჭალის სკოლის მასწავლებლად დანიშნა ვართანიანცი.

✦ **„ღალატის“ წარმოდგენა.** ქართული თეატრის არტისტები სცენის მოყვარეთა მონაწილეობით ქართულ თეატრში 12 სექტემბერს წარმოადგენენ „ღალატს“. ზეინაბის როლს შეასრულებს უმაღლეს დრამატიულ კურსების მოსწავლე ქ-ნი ჩირგაძე, ხოლო ოთარ ბეგისას—ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი პ. ი. ქავთარაძე, ამათ პეტერბურგში წელს, „ღალატის“ წარმოდგენის დროს, შეუსრულებიათ ესევე როლები და დამსწრეთ მოსწონებიათ.

✦ **ხმოსნის დაპატიმრება.** პოლიციამ ხელმეორედ დააპატიმრა ხმოსანი ხუდადოვი, რომელსაც ჰბრალდება იარაღების დამალვა თავის სახლში.

✦ **ტყუილი ხმა.** რუსეთის გაზეთები სწერდნენ და აქაურებმაც გადაბეჭდეს, რომ ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი შატილოვი თანამდებობას თავს ანებებსო. „კავკაზი“ აცხადებს, რომ ეს ხმა სიმართლეს მოკლებულიაო.

✦ **უსახელო წერილი.** კვირის რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ტფ. პოლიცმეისტერის პოლკ. ზასიპკინის წერილი. როგორც ამ წერილიდანა სჩანს, პოლიცმეისტერს უსახელო წერილი მიუღია. ამ წერილით ვიღაც უცნობნი ემუქრებიან, სამსახურს თავი გაანებე, თორემ სიკვდილი მოგელისო. უცნობნი სწერენ აგრეთვე, რომ ჩვენ ჩავიდინეთ ტერორისტული აქტები ხარაზოვის, ფეფელოვის, კოვალიოვის და მარტინოვის წინააღმდეგაო. როგორც ვიცით, პოლიცმეისტერმა აღმოაჩინა ისინი, რომელთაც სხვა და სხვა დროს მილიონ მანეთამდე გაიტაცეს რკინის გზებზე და რომელნიც ტფილისში სცხოვრობდნენ. მიზეზი მუქარისა ეს ყოფილა. პოლიცმეისტერი სწერს, ამ მუქარას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევო.

✦ **ილიას ფონდის ქალთა წრეების საყურადღებოდ.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „20 ივლისი, რა დღესაც ქალთა წრეებს ილიას საღამოები უნდა გაემართნათ პროვინციაში, ზოგიერთ ადგილის გარდა, უმოქმედოდ ჩაატარეს. რომ 27 ოქტომბერსაც ასე არ მოხდეს ქალაქებში, საჭიროა წრეები ეხლავე შეუდგნენ მზადებას. ტფილისის ქალთა წრე უკვე შესდგომია ამ საღამოსთვის ზრუნვას. ამ საღამოს გრ. რობაქიძე წაიკითხავს ილიას „განდეგილის“ შესახებ ლექციას.

✦ **მეფის შთამომავალი.** „კასპი“ ვკითხულობთ: ბაქოში ამ ერთი თვის წინად გარდაიცვალა და აქვე მიწას მიაბარეს ეკატერინე აპოლონის ასული სივრიჩი. განსვენებული 100 წელზე მეტისა იყო. როგორც ირწმუნებიან, სივრიჩი საქართველოს მეფეების შთამომავალი იყო. განსვენებულის დედა, ჯამბაკურ-ორბელიანის ქალი მარიამ ივანეს ასული, ირაკლი მეფის დეიდაშვილი იყო. მარიამი კავკასიის ნამესტნიკის ადიუტანტ პოლკოვნიკ სივრიჩზე გათხოვდა. ეკატერინე სივრიჩმა მთელი თავისი სიცოცხლე თითქმის ტფილისში გაატარა. ბოლო დროს დაავადმყოფდა და გადასწყვიტა ბაქოში დასახლება. იგი დასახლდა თავის გაზრდილსა და ნაყმევთან გიორგი გიორგის ძე ზაკუტიანცთან. ზაკუტიანცი ბაქოს საქონლის სადგურის კასირად არის“.

✦ **პროგიმნაზია ახალ-სენაკში.** როგორც ვიცით, ახალ-სენაკში ქ-ნმა ფულარიამ დაარსა ქალთა პროგიმნაზია. შესვლის მსურველი საკმაო აღმოჩნდა. წელს გაიხსნება პირველი სამი კლასი.

✦ **საჩივარი.** მღ. გძელიშვილს, რომელიც, როგორც ვიცით, ბანკში დაკარგულ ფულის გამო თანამდებობიდან დაითხოვეს, სასინოდო კანტორის ამ დადგენილების გამო საჩივარი გაუგზავნია სინოდში.

✦ **საჩივარი.** ტფ. ხელოსანთა უსტაბაშების ერთმა ჯგუფმა საჩივარი აღსძრა გუბერნატორის წინაშე, ხელოსანთა თავის რაფაელოვის წინააღმდეგ. მომჩივნები აცნობებენ გუბერნატორს, რომ რაფაელოვი პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობს ხელოსანთა თავის არჩევის დროს და თავმჯდომარედ სხვა ვინმე დანიშნეთო. რაფაელოვის დასახასიათებლად მათ ასეთი ფაქტი მოჰყავთ: უკანასკნელი საზოგადო კრება რწმუნებულებისა და მამასახლისებისა რაფაელოვის მიზეზით არ შემდგარა, მას საარჩევნო კრება დაუნიშნავს ხელოსანთა სამმართველოში, ვანქის ქუჩაზე, ხოლო არჩევნების წინა დღეებში ეს განკარგულება შეუცვლია და კრება ბაღში დაუნიშნავს. ბაღში საარჩევნო კრებაზე ამომრჩევლებს რაფაელოვი გაზეთის საშუალებით იწვევდა, ამომრჩევლები მისულან სამმართველოში, მაგრამ იქ კარები დაკეტილი დახვედრიათ და რადგან უფიქრიათ, კრება არ მოხდებაო, დაშლილან. ბაღში კრების დანიშვნის შესახებ არა სცოდნიათ რა, რადგან გაზეთის განცხადება ორ კაცსაც არ წაუკითხავს.

✦ **ახალი შეიხ-ულ-ისლამი.** 29 აგვისტოს განჯიდან ტფილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის მუსულმანთა ახალი შეიხ-ულ-ისლამი ახუნდმამედ-კოშნამად-ზადე. იგი წინად კაზის თანხმდებობას ასრულებდა განჯაში. ახალ შეიხ-ულ-ისლამს მიღებული აქვს სპარსეთში უმაღლესი სასულიერო განათლება. შეიხულისლამის მისაგებებლად 29 აგვისტოს მრავალი მაჰმადიანი შეიკრიბა სადგურზე, აქ იყვნენ მუსულმანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრნი და სხვანი. სპარსეთის კონსულმა საკუთარი კარეტა გაუგზავნა შეიხ-ულ-ისლამს.

✦ **სახელმძღვანელო.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მდაბალს სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ მოიწონა ბ-ნ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი კრებული „ქართველი მწერლები“.

✦ **უპასპორტოები.** პოლიციის მე-4 ნაწილში ჩხრეკის დროს 9 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს. მე-8 ნაწილში დააპატიმრეს—4, მე-10 ნაწილში—5.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 3 სექტემბერს ქუთაისში ტფ. სამოსამართლო პალატის სესია განიხილავს არტემ კამკამიძის საქმეს. კამკამიძეს ჰბრალდება 1905 წელს ტყიბულში სხვებთან ერთად ტენგინის პოლკის როტაზე თავ-დასხმა.

✦ 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე ქალაქის კასაში დასაფასებელ გადასახადის შესულა სულ 492,740 მან., წყლის გადასახადისა —148,050 მან., სატრაქტირო გადასახადი—49,000 მან. და სხვ.

● გუმის, ნამუსდღევის 2 საათზე, ორბელიანის ქუჩაზე ერთი ხანჯალი... ცეცხლი გაუხსნა ... მეზობელი რაზმი, მაგრამ მის მისვლამდე ცეცხლი მინავლებულიყო.

● ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე ესხოვრებს ქალთა მესამე გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლეს ანნა პარასტაევს, უფამოდ რევოლვერი გაუვარდა 29 აგვისტოს და დაიჭრა მარცხენა ხელში. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** ამას წინად ერმალოს ხავთასის მოჰპარეს ნივთები. ამ საქმის გამო ეჭვით დააპატიმრეს ჯამბურია, გიორგი კვაჭაძე სერაპიონ აბზაძე, ტროფიმე ტოღაბიძე. დაპატიმრებულნი რკინის გზის სახელოსნოებში მსახურებენ. გაჩხრეკამ დაპატიმრებულთა ზოგიერთ ბინაზე აღმოაჩინა ხათასის სახლიდან მოპარული ნივთები.

*** 28 აგვისტოს, ღამის 10 საათზე მიხეილისა და კიროჩნი ქუჩის კუთხეში ვიღაცას გადაუგდია პეტარდა. რომელიც გასქდარა. ხალხი შეშინებულა. პოლიციელების გამოკვლევით, პეტარდა თავ. სუმბათაშვილის სახლიდან გადაუგდიათ ტენნიკოსის თანაშემწეს მოსე ნესტერენკოს და ზიკეევის სკოლის მოსამსახურეს ზუევანოვს. პოლიციამ ორივენი დააპატიმრა.

# სპარსეთი

**მამედ-ალის წამოსვლა.**

როგორც იყო, ეშველა და ტახტიდან ჩამოგდებული მამედ-ალი წამოვიდა რუსეთისკენ. შაჰად ნამყოფი 6 ცხენიან ეტლით გამოსულა. უკან მისდევდნენ თურმე ეტლებით მისი ჰარამხანა, მისი საყვარელი რეაქციონერები: ბაგადურ-ჯენგი, შოჯაღამი და სხვანი. მამედ-ალის ახლდა რუსის ვიცე-კონსული ნეკრასოვი, 5 რუსის აფიცერი, 25 რუსის ყაზახი და 100 სპარსელი ყაზახი. ინგლისის საელჩოდან შაჰის გასაცილებლად მოვიდნენ ვიცე-კონსული და სამი სიპაი. შაჰის ბარგი მიჰქონდა 40 ფურგონს, 30-მდე აქლემს და მრავალ ეტლს. მთელ კანვოის უფროსობდა რუსის აფიცერი გრიკოროვიჩი. როცა შაჰი მირაბადში მივიდა, მან არ მოინდომა ამალის ნახვა და ხელად დაიმალა ჰარამხანაში.

მამედ-ალიმ წამოსვლის დროს თურმე დემონსტრატიულად არ მოინდომა თავის ამალასთან გამომშვიდობება. თეირანზე გავლის დროს იგი არავის არ აძლევდა სალამს.

**მამედ-ალის მოყვარეების დემონსტრაცია.**

შაჰად ნამყოფის 40 მოყვარემ დემონსტრაციის გამართვა მოინდომა რუსის საელჩოს წინ, მაგრამ რუსის ყაზახებმა მალე გარეკეს დემონსტრანტები.

---

სისულელესა სჩმახავდნენ და სჩმახავენ დღესაც საკმარისად,—ისეთ სისულელეებსა, რომელსაც ევროპიელი თავის დღეში არ იტყოდა,—ეს მგონი თქვენც იცით. მაშ თქვენა და კაუცკი, ჰაინდმენი და ჟორესი ერთნი და იგივენი ბრძანდებით, არა?!.

ბოლოს რაჟდენიძე მაინც უბრუნდება ათასჯერ განმეორებულს ფრაზას,—ერის ნამდვილი სასიცოცხლო ძალა მუშათა კლასსიაო, და მოჰყოლია სოციალიზმის აუცილებლობაზე ლაპარაკს, რომელსაც თითქოს ჩვენ უარ-ვყოფთ. არა, ბატონებო! ჩვენი ერის ნამდვილი სასიცოცხლო ძალა გლეხობაა, რადგანაც ის შეადგენს ქართველთა უმეტესობას. და სავალალო სწორედ ის არის, რომ ამ ზურგს ქართველი ეროვნებისას არა აქვს ელემენტარული პირობანი განვითარებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისა. ჩვენი ტერრიტორია მისი საკუთრება უნდა იყოს,—იგი კი სხვის ხელში გადადის, ჩვენი თავად-აზნაურობა თავიდან იშორებს მას, რომ ან რუსები დაასახლოს, ან სხვა ათასგვარი მოსული ელემენტი. გაღატაკებული გლეხი როცა მიწას მოშორდება,—იძულებული იქნება გარედ გავიდეს ლუკმაპურის საშოვნელად, რადგანაც შინ არ არის განვითარებული წარმოება, მაგრამ იგი უცხო კაპიტალისტს ხვდება, რომელიც თავის ერის პროლეტარს რჩეულობს, როგორც „ყვლეფის“ მხრით, ისე ეროვნულ გრძნობით. შინაც თავისი არა ჰყავს და უცხო აქაც ერეკება მას. ამგვარად, იგი აუცილებლად უნდა მოშორდეს სამშობლოს და ეს კი პატარა ერისათვის ზედ-მეტის ემიგრაციას კი არ ნიშნავს, არამედ მისს სხვის მიერ ძყრას, განძევებას. ბურჟუაზია, რომელიც ყველგან ყოფილა და არის და სანამ ცოცხალია იქნება ეროვნული ძალა, დიდი ძალა მატერიალურ და სულიერ კულტურის შემქნელი — ჩვენ არა გვყავს, და ამიტომაც ვერ ვუძღვებით ჩვენს მრავალ კულტურულ საქმეს, ვერ ვიხსნით თავს მიწის დაკარგვისაგანაც უფულობის გამო,—ეროვნული ბანკებით, მაგალითად. თავად-აზნაურობა, ეს გადაგვარებული კლასი, ერთის ხელით საქართველოს ღუპავს, მეორეს ხელით კი ერთად-ერთი სცდილობს დაეხმაროს ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობას, და ეს ერის სიძაბუნეს არ მოასწავებს?!. სამღვდელოება, რომელსაც დიდი ეროვნული უფლება აქვს მოსაპოვებელი, სასარგებლო ყოველის მხრით, როგორც კერძოდ ჩვენთვის, ისე სწორედ სინოდალურ-კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მხრით, ლაჩარია და ვერც ერი უწევს დახმარებას ამ უფლების მოპოვებაში—და ეს ერის სიცოცხლეს მოასწავებს? ინტელიგენცია ულონო და პროექტების მაშენებელა, მარტო მოლაპარაკე და უმოქმედო,—და ეს ჩვენი ერის გონებრივი სისუსტის ნაყოფი არ არის? ან იქნებ ს.-დ-ებს ჰგონიათ რომ მარტო ლაქლაქი, პროპაგანდა და ამგვარი რამ საქმე იყოს! შემცდარან! თვით რევოლიუცია, გადამწყვეტი ასეთ დიდ პრობლემათა, ვერას იზამს, თუ ხალხს შინაგანი ძალები არა აქვს, ეხლა კი დაბეჩავებულ და გადამწვარ ერის ცხოვრებაში განმანადგურებელი პროცესი, უკუღმართი „ცხოვრება“ თავის გზით მიდის, და მას ლაქლაქით ვერ მოაბრუნებ.

დავანებოთ თავი სოციალიზმის აუცილებლობას. რაჟდენიძემ თუ სთქვა,—იგი ლოგიკურად გამომდინარეობს კაპიტალიზმიდანაო, — ეს არაფერს არ ამტკიცებს. ეხლა არ მოიპოვება არც ერთი სერიოზული მეცნიერი, რომ ასეთი რამ ამტკიცოს. ამას მხოლოდ წინად ლაპარაკობდნენ სააგიტაციოდ. სოციალიზმი ჩვენი მისწრაფებაა, ჩვენი იდეალური წარმოდგენა საზოგადოებრივ წყობილებაზე, ლოგიკური აუცილებლობით კი იგი არ გამომდინარეობს კაპიტალიზმისაგან და ვერა ხორციელი მეცნიერი ვერ დაამტკიცებს ასეთს რამეს. ეხლა სხვისი არგუმენტებიც მოისმინეთ, რას ამტკიცებენ! და ეს არა იმიტომ; რომ თბილი ადგილი უნდათ, არა იმიტომ რომ ბურჟუაზია გაკოტრდა, არამედ იმიტომ, რომ თვით საგნის შესახებ არ შეიძლება ისეთი კატეგორიული, ტლანქი მსჯელობა, როგორიც აქვს რაჟდენიძესა და მისს მსგავსს მოაზრეებს.

სოციალიზმის იმედი,—უსათუოდ მთელი სიმდიდრე გადავა რამდენიმეს ხელში და მერე მთელი გაპროლეტარებული ერი მის ექსპროპრიაციას მოახდენსო, — სწორედ „მეორედ მოსვლის“ იმედია, რადგანაც ამ მხრით იგი არც ტენდენციაა, არა თუ აუცილებლობა. არც წვრილი წარმოება ჰქრება,—არც ქალაქში, არც სოფელში,—კაპიტალისტებიც მრავლდებიან, არც გადაშენებულან და უძლიერესი ორგანიზაციებიც აქვთ. ხოლო სოციალიზმი, როგორც მისწრაფება მუშათა კლასისა, სწორედ იმიტომ არ არის აბსოლიუტური აუცილებლობა, რომ იგი ტენდენციაა. ინტერნაციონალი და საერთო მოქმედება—მარტო მუშათა კლასის დამხასიათებელი მხარე არ არის. იგი ბურჟუაზიასაც საკმაოდ აქვს შეგნებული და განვითარებული. გარდა ამისა მთელი კულტურული ცხოვრება საზოგადოებათა მარტო შინაგანი პროცესით არ ამოიწურება. როგორც რომი და საბერძნეთი დაიღუპნენ, შეიძლება ისე დაიღუპოს მთელი ევროპა. აზიამ თავი ასწია და მრავალ-მილიონი ხალხი დაიძრა. კაცობრიობაში, განვიმეორებთ, მრავალი, ულეველი ფონდია, რომლის საისტორიო ასპარეზზე გამოსვლა და მოქმედება ათასგვარ მრავალ ფეროვანებას შექმნის საზოგადოებრივ ცხოვრებისას. საბერძნეთი და რომი მონობის უუფლებობამ დაღუპაო, მეორე მხრით გლეხების პარაზიტ-პროლეტარიატად კადაქცევამაო, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მონები კულტურულ ცხოვრების გარეშე იდგნენო. თანამედროვე პროლეტარიატს კი ეს საფრთხე არ მოელისო! მართალია, თანამედროვე საზოგადოებას უფრო მეტი შანსი აქვს არსებობისათვის ბრძოლაში თავის გატანისა, მაგრამ ისიც მართალია, რომ არც რომისა და საბერძნეთის ცხოვრება ყოფილა ისე მარტივი, რომ მარტო მონობას დაეღუპოს იგი, არც მონები მდგარან ყოველთვის კულტურულ ცხოვრების გარეშე: პირიქით, რომის რესპუბლიკის და იმპერიის უკანასკნელ ხანებში მონები დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით საბერძნეთიდან მოყვანილი მონები. იგინი მასწავლებლებადაც კი ჰყავდათ. აგრეთვე მონებსაც ჰქონდათ თავიანთი მისწრაფებანი, იგინიც ახდენდნენ რევოლიუციებს, ეტრფოდნენ საუკეთესო მომავალს. მაგრამ საქმეც ის არის სწორედ, რომ უუფლებობას თავი ვერ დააღწიეს, დამარცხდნენ. მშრომელი გლეხობა კი, თანამედროვე აზრით, რომი თავის დღეში არა ყოფილა, არამედ წვრილი თავისუფალი მესაკუთრე იქცა პარაზიტ-პროლეტარიატად, მოაწყდა ქალაქს და აავსო იგი. ცეზარისა დროს რომში 600,000 სული იღებდა მუქთად პურსა, თუმცა ყოველ მათგანს თავი ქვეყნის პატრონად მიაჩნდა, და ესენი სულ ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ. ვინც კი დარჩა სოფლად, შრომით იყო წელში გაწყვეტილი, იგინი მონებს ეხმარებოდნენ რევოლიუციაში. ვითარდებოდა აგრეთვე ახალი კლასსი კოლონატისა და ვინ იცის, რომ დასცლოდა რომის საზოგადოებას, რა როლს ითამაშებდა იგი რომის ისტორიაში. მაგრამ შინაგანმა და გარეგანმა მიმიზეზმა ერთად მოსპეს საბერძნეთიცა და რომიც ისე, რომ ახალმა კლასებმა ვერ განაახლეს მათი ცხოვრება.

თანამედროვე ცხოვრება, მართალია, უფრო მტკიცე საფუძველზეა დამკვიდრებული, მაგრამ მიუხედავად პროლეტარიატის განვითარებისა და საერთაშორისო სოლიდარობისა, მთელ ევროპიულ ცივილიზაციას არავითარი აბსოლიუტური გარანტია არა აქვს, რომ იგი უკუნი იქნება და განახორციელებს იდეალს საზოგადოებრივ წყობილებისას. ტყუილია, საუბედუროდ, ის აზრი ზოგი სოციალისტისა, ვითომც ევროპაში ბურჟუაზია გაკოტრდა, პროლეტარიატი კი ყველაზე უფრო გონიერი, საღი და ჰკვიანია. პირიქით,—სტატისტიკურად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. გარეგან შესაძლობლობას თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინ კიდევ უფრო ნაკლები გარანტია გვექნება ამ „აუცილებელ სამოთხის“ დამკვიდრებისა. ხოლო სულ სხვაა ჩვენი მისწრაფება, მუშათა კლასის ბრძოლა, რევოლიუციები და სხვანი. ესე ყოველი სწორედ ნაყოფია თანამედროვე ცხოვრების ტენდენციისა, მაგრამ არა გადაწყვეტა თვით პრობლემისა, არა აუცილებლობა, რომლის განხორციელების ანგარიში შესაძლებელია აბსოლიუტურის სიზუსტით. ამ აზრით სოციალიზმი, რაიც საკვირველია, პრობლემატიურია (და არა „პრობლემატიურზე უპრობლემატიურესი“, რაიცა მე კაცობრიობის შესახებ ვთქვი, და არა სოციალიზმის შესახებ)

მაგრამ საქმე განა ამაშია! სოციალიზმი შორს არის, იგი შესაძლებელი მომავალია საზოგადოებათათვის, ჩვენი პრობლემა კი ეს არა ყოფილა. ჩვენი პრობლემა ეროვნული პრობლემა იყო. ჩვენი აზრით დღეს ქართველი ერი ისეთ მდგომარეობაშია, რომ თუ როგორმე თავს არ უშველა, სოციალიზმის განხორციელებამდის ათასჯერ გაჰქრება, ვერც სოციალიზმისათვის შეჰქმნის ვერაფერს. და თუ ერი ინდივიდია, რასაკვირველია, მისთვის თვით სოციალიზმის პრობლემაც ისპობა, თუ სიკვდილის პირზეა მიღწეული და მალე მოისპობა. ამ როგორი იყო ჩვენი პრობლემა, და ამაზე პასუხის გაცემა პროგრამებითა და „მამაო-ჩვენოთი“ არ შეიძლება. პრობლემა, განვიმეორებთ ასეთია: **საქართველოს ეროვნული პიროვნება განსაცდელშია, რადგანაც შიგნით, ეკონომიურად იგი სხვისი მონაა—მას არა აქვს განვითარებული ეკონომიური ძალები,—რიცხვით მცირეა, გარედან კი უზარ-მაზარი და აუარე-ბელი, მრავალ-ფეროვანი ძალა მოსდგომია და უქადის თავის ბინიდან აყრას. ეროვნულ სიმდიდრისა, რიცხვისა და ძალის უქონლობის გამო მას ვერ გაუწევია ვერავითარი წინააღმდეგობა ასეთ განმანადგურებელ ძალისთვის**, და თუ ეს პროცესსი ასეთის ნაბიჯით წავიდა წინ, მაშინ მალე მთელი საქართველო წარმოადგენს ისეთსავე ყოფილ საქართველოს, როგორც არის დღეს საათაბაგო და ლაზისტანი,

**მამედ-ალი და ტაგი-ზადე.**

ტახტიდან ჩამოგდებულმა შაჰმა, წამოსვლის წინ, 25 აგვისტოს შეიტყო, რომ კონსტიტუციონალისტების მეთაური ცნობილი ტაგი-ზადე ზერგენდეში რუსის საელჩოში მოსულიყო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. მამედ-ალიმ მაშინვე თავისთან მიიწვია ტაგი-ზადე. ტაგი-ზადე ჯერ არ აპირებდა წასვლას, მაგრამ მერე თავის ამხანაგების რჩევით წავიდა შაჰთან ნამყოფთან. მამედ-ალი რუსის საელჩოს კარებში მიეგება თავის მტერს და საბილიარდე ოთახში შეიყვანა. აქ შაჰად ნამყოფმა მეგობრულად ხელი გაუწოდა ტაგი-ზადეს, მაგრამ ამან არ ჩამოართვა, უკან დაიწია და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

ჩამოგდებულმა შაჰმა აღელვებულმა უთხრა:

— მე არ ვიცოდი, ვინ იყო ჩემი მტრები და ჩემი მეგობრები, არ მესმოდა, რომ ჩემთვის სიკეთე გინდოდათ; თქვენც შემცდარი აზრი გაქვთ ჩემზე. არც ერთ შაჰს ისე გულწრფელად არა ნდომებია სიკეთე ხალხისთვის, როგორც მე მინდოდა. ეხლა მე ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან: ნება მომეცით სამშობლოში დავრჩე. არც მინდა და არც შემიძლიან რუსეთში ცხოვრება: მე მოვსტყუვდი ამ ჩემს მეგობრებში. ნება მომეცით, წავიდე მეშედსა, ან ხოროსანსა, ან მექაში; გთხოვთ უარს ნუ მეტყვით ამ ერთად-ერთს თხოვნაზე.

ტაგი-ზადემ უპასუხა: ეგეთია ხალხის ნება, თქვენს თხოვნას კრებას გადავსცემთ. კრებამ თურმე არც-კი განიხილა მამედ-ალის თხოვნა.

**სპარსეთის მთავრობისა და რუსის დიპლომატების კამათი.**

იმ თათბირში, რომელმაც საბოლოოდ გადასწყვიტა მამედ-ალის ბედი, მონაწილეობას იღებდნენ სპარსეთის ახალ მთავრობის წარმომადგენელნი— ტაგი-ზადე, მუსტაფა-დოულე და ჰუსეინ-კული-ხანი, რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი ბარანოვსკი და ინგლისის საელჩოს წარმომადგენელი. ბარანოვსკიმ, რომელსაც არ მოეწონა სპარსეთის წარმომადგენელთა მკაცრი და ეჭვით სავსე კილო, სთქვა რომ სპარსეთის წარმომადგენელნი მეტ ნდობას უნდა იჩენდნენ რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლებისადმიო. ამაზე სპარსელებმა უპასუხეს:

— თქვენ ერევით უველა ჩვენს შინაურ საქმეში და ეს გარემოება ამწვავებს ჩვენს ურთიერთობას. ის-და გაკლიათ, რომ ჩვენი გუბერნატორები და მინისტრებიც თქვენ დანიშნოთ. არა თუ ჯარი არ გაგყავთ სპარსეთიდან, საზამთრო ყაზარმებსაც აშენებთ მისთვის.

ბარანოვსკიმ პასუხად სხვათა შორის სთქვა: ჯარი გაგზავნეთ ადერბეიჯანში; სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი, რომლებიც ურევენ იქაურ ხალხს, დაიბარეთ თავრიზიდან და ადერბეიჯანი ხელად დამშვიდდებაო.

**ინგლისის და რუსეთის მოქმედება სპარსეთში.**

თუმცა გრეი მუდამ უარს ამბობდა ფულის სესხზე, რომელსაც შაჰი, რაღა თქმა უნდა, კონსტიტუციონალისტების წინააღმდეგ მოიხმარებდა, იზვოლსკი მაინც არ იშლიდა თავისას. ნიკოლსონი 10 თებერვალს ატყობინებს გრეის: იზვოლსკიმ მითხრა გუშინ: „ვერ გამიგია, რისთვის ეწინააღმდეგება ინგლისი ფულის სესხებასაო. თუ ფული არ მივეცით, შაჰი ვერ შეიძლებს კონსტიტუციის დაწესებასაო“. ამაზე ვუპასუხე; „შაჰს ფულს ვერ ვასესხებთ, რადგან იგი ფულს კონსტიტუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ მოიხმარებსო“. იზვოლსკი დამეთანხმა ამაზე და დაუმატა, რომ ფული მაშინ მივცეთ, როდესაც შაჰი თავის პირობას შეასრულებსო; რუსეთს მეტი ზარალი მოსდის სპარსეთის ანარქიისგან, ვიდრე ინგლისსა; რუსეთსაც ძლიერ უნდა რომ სპარსეთში კონსტიტუცია დაწესდეს, მაგრამ ამავე დროს რუსეთს ისიც კარგად ესმის, რომ სპარსეთის მოხელეები და ჯარი, რომლებსაც ჯამაგირი არ ეძლევათ, ძლიერ საშიში არიან მშვიდობიანობისათვისო.

4 მარტს გრეიმ შეატყობინა ნიკოლსონს: რუსეთის წარმომადგენელმა მითხრა, „შაჰის უჩაღების დაცემა“ ქალებზე და ბავშვებზე ჯულფას ახლო აუცილებელს ჰხდის რუსეთის ჩარევას სპარსეთის საქმეებშიო. მე ვუპასუხე: „შაჰს, რომელსაც ძლიერ უნდა რუსეთის ჩარევა, ეგონება, რომ რუსეთი იმას ეხმარება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შაჰი დაუყოვნებლივ გამოაცხადებს კონსტიტუციას, თუ რუსის დიპლომატები აუხსნიან მას, რომ რუსეთის ჩარევა ნამცეც სარგებლობას ვერ მოუტანს, პირიქით ტახტსაც გამოასალმებსო. მაგრამ თუ იზვოლსკის მაინც და მაინც არ დაუშლია, შეუძლიან 200 ათასი ფრანკი ასესხოს შაჰს, ხოლო ინგლისი თავის წილს შეიტანს მას შემდეგ, როდესაც მეჯლისი დაამტკიცებს მთელ სესხსაო.

ამით დასრულდა მოლაპარაკება სესხზე...

9 იანვარს ელჩი ნიკოლსონი სწერს გრეის: „იზვოლსკის აზრით, უთუოდ რაიმე ღონე უნდა ვიღონოთ, რომ თავრიზსა და ისპაჰანში დამოუკიდებელი მთავრობა არ დაარსდესო“. ამაზე გრეიმ მოკლედ უპასუხა: „ინგლისი არ მოითმენს, რომ რუსეთი თავრიზსა და ისპაჰანის საქმეებში ჩაერიოსო“. („რ.“)

# ოსმალეთის ამბები

**ნიაზი-ბეი ცოცხალია.**

ოსმალეთის მთავრობამ გადაჭრით გამოაცხადა: ტყუილია ის ცნობა, ვითომ განთქმული ნიაზი ბეი მოჰკლეს რესნაშიო.

**შევქეთ-ფაშა გერმანიის ჯარის ალლუმზე მიიწვიეს.**

გენერალისიმუსი მახმუდ-შევქეთ ფაშა გერმანიის ჯარის ალლუმზე დასასწრებლად მიიწვია იმპერატორმა ვილჰელმმა. ამ მოწვევით გერმანიის იმპერატორს ჰსურს გული მოუგოს ოსმალებს და ხელახლად დაუმეგობრდეს მათ.

**აბდულ-ჰამიდი.**

სალონიკიდან იუწყებიან, რომ აბდულ-ჰამიდი ძლიერ ავადაა. მისი სატკივარი თან და თან ძლიერდებაო.

**ოსმალეთი და იაპონია**

სტამბოლში მოლაპარაკება გამართული ოსმალეთის და იაპონიის შორის მუდმივ დიპლომატიურ ურთიერთობის დაწესებაზე. ეს მოლაპარაკება მალე დასრულდება და ტოკიოსა და სტამბოლში ორსავე სახელმწიფოს საელჩოები დაწესდება.

---

რომელთა დაღუპვა სწორედ შედეგი იყო ჩვენი უძლურებისა ოსმალთა ძლიერების წინაშე. აი რაშია საქმე, რაჟდენიძე კი ისეთ რამეებზე მელაპარაკება, რაც სულ სხვა სფერაშია და არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს პრობლემასთან. და როდესაც ამ პრობლემის გადაწყვეტას მოისურვებთ, სწორედ ისეთ დასკვნაზე მიხვალთ, რომელზედაც მე მივედი,— **რა უნდა ვქნათ, რომ თავი ვიხსნათ სიკვდილისაგან, აღვადგინოთ ძველად წართმეული ნაწილი საქართველოსი და ერთობ მთელი საქართველო, განსაცდელში მყოფი?!** აი საკითხი. აბა გაუკეთეთ კეთილ-სინიდისიერი ანალიზი ამ საკითხს, გულწრფელად, და არა უაზრო ფრაზების ყვირილითა, და ნახავთ, მუდამ წარმოგიდგებათ თუ არა თვალ-წინ, საშუალებანი“ ამ საკითხის გადაწყვეტისა, და **ყოველი საშუალება კი თავის თავად ხდება** თუ არა ცალკე პრობლემად! ძალაუნებურად იტყვით—არ ვიცი!.. ძლიერ ერებს ეს არ ემართებათ, მათ ძალა აქვსთ—სიმდიდრე, რიცხვი,—ამაზე აშენებენ საწინააღმდეგო ძალას და მომავალ იმედებსაც ჩვენთვის კი არც ერთია, არც მეორე, ამიტომ უიმედონი ვართ. რაჟდენიძის ყვირილი კი, ჩვენში პროლეტარიატია ერის სასიცოცხლო ძალაო, ასეთი ყვირილი პარტიულ ფილისტერთა —არაფერს არ ამტკიცებს, სრულიად ვერავითარ გრძნობას ვერ გვიძრავს გულში, გარდა იმისა, რომ ჩვენში სხვა უბედურებასთან ერთად ასეთი ტიპები, აზროვნების ნიჭს მოკლებული ფილისტერები სწყვეტენ დიდ პრობლემებსა და ხალხის ბედის მატარებელნი არიან.

ყოველ ერს თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, უკიდურეს და იშვიათ შემთხვევებში მას **„შემთხვევა“** ანთავისუფლებს. ჩვენ კი, როცა სიგრძე-სიგანით განვიხილავთ „ჩვენს თავს“, საკმარისს ძალებს თავის დაცვისას და განთავისუფლებისას ვერა ვხედავთ. აქედან არის უიმედობა და ყოველგვარი ქართული სენი. არ ვიცი!—კიდევ ვიტყვი, მაგრამ რაჟდენიძე პირში მწვდება,—თუ არ იცი, სხვას ჰკვას რაღაზე ასწავლიო! ის ჰკუის სწავლება, რომ „შენი თავი“ იცნო, უდიდესი ჰკუის სწავლებაა, და თუ მე ეს მოვახერხე, ჩემს თავს უბედნიერეს ადამიანად ჩავსთვლი. მაგრამ სოკრატობას მე ვერ ვიქმ, არცა მაქვს ამისი პრეტენზია,—იგი ესდღეკ კადნიერთათვის დამილოცნია, ხოლო ტრაბახი, თავის კრედოს გამართლების გულისათვის თვალებს ახვევა, ცხოვრების ანალიზის უნიჭობა, ყვირილი ლამაზ ფრაზებისა, წარა-მარა ძახილი პროლეტარიატის სიდიადისა, როდესაც იგი ჩვენში არარაობაა, დონკიხოტობა და მანილოვობა—ჩვენი პროლეტარიატი იხსნის ჩვენს საზოგადოებრივობასა, ისიც სხვის ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციითაო,— ასეთი ჰკუის სწავლება მართლაც ჩვენ ფილისტერთა ხელობაა, ბრიყვთა და ბრმათა წესი. და ასეთ მდგომარეობაშიაც ვიქნებით მუდამ, სანამ ან „ბუმბერაზთა“ ბრძოლის დროს არ გამოვირიყებით თავისუფლების ნაპირზე, ან ჩვენ არ შევქნით საჭირო ელემენტებს ჩვენი თავის დასაცველად და დაკარგულ სრულ ინდივიდუალობის ალსადგენად. ყოველი ჩვენის ხალხის მსგავსის ბრძოლა განისაზღვრება იმ განწყობილებით, რომელიც არსებობს მებრძოლ ხალხის შინაგან ძალთა და გარეგან მტრულ ძალთა შორის. თუ ეს განწყობილება გამოჰხატავს დიდს ოდნობას, მაშინ მებრძოლ ხალხს შანსი აქვს გამარჯვებისა, მომავლისა და სიცოცხლისა, თუ კი ეს განწყობილება არასოდეს არ ალემატება უმცირეს ოდნობას, მაშინ მისი მომავალი, რასაკვირველია, საეჭვოა, და საზოგადოებაშიაც უიმედობაა. მხოლოდ ბრიყვები და ბრმები იღრიჭებიან. მოახდინეთ, ბატონებო, ეს უბრალო განსაზომავ, არა ოპერაცია ჩვენი ცხოვრების თქვენებურის არითმეტიკით, არამედ იმ არითმეტიკით, რომელიც ჰიღებულია ყველასაგან, და ნახავთ, რა ოდნობა გამოჰხატოს ზემოხსენებულმა განწყობილებამ. მანამდის კი დემაგოგიითა, ლანძღვაგინებითა, ცილის-წამებითა და „ხალხთან“ დაბეზღებით, ყვირილითა და ფრაზებით ჩვენ პრობლემას ვერც მოსპობთ, ვერც გადასწყვეტთ. B.

P. S. რაჟდენიძე მეუბნება—შენ არ იყავი კომმუნისტი, სოციალისტი და სხვა, დაუყოვნებლივაც გინდოდა განხორციელება ყოველივე ამისაო, ეხლა კი განაციონალისტდიო! მაგრამ ჯერ ერთი მე სრულიად სირცხვილად არ მიმაჩნია „აზრთა გამოცვლა“,—აზრის გამოუცვლელობა, რასაკვირველია, იმის წესია, ვინც უცბად შეიგნო ყველაფერი და უცოდველი გახდა,—ე. ი. რაჟდენიძეებისა. მეორე,—ჩვენ წერილებში ჩვენ ერის პრობლემა დავაყენეთ, და არა სოციალიზმისა, და როცა ამ უკანასკნელზე გვექნება ლაპარაკი, მაშინ ვისაუბროთ ჩემს სოციალიზმზე. ვინ იცის, იქნებ აქაც გამოვიცვალე აზრი. არც ეს მიმაჩნია სირცხვილად. აზრს ის არ იცვლის, ვინც თავის დღეში არა ფიქრობს და არ აზროვნობს. არ არის დღეს ევროპაში არც ერთი ცნობილი სოციალისტი, რომ მისი დღევანდელი აზრი ამ ოც, ოცდა-ათის წლის წინად მის მიერვე გამოთქმულ აზრს ჰგავდეს. ეს იმიტომ, რომ უაზრნია და აზროვნებაში მის „აზრსაც“ ცვალებადობა განუცდია. ვინც კი არ აზროვნებს, რა გამოეცვლება, რომ არაფერი აბადია! B.

# რუსეთი

**✦ სამონასტრო მიწები.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: მიწათმოქმედების მთავარმა სამართველომ საკითხი აღძრა, ბესარაბიის მონასტრებს მიწები ჩამოერთვას და გლეხებს გადაეცესო.

**✦ ჰაეროპლანის ყიდვა.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას გადაუწყვეტია გენერალი კოვანკო საზღვარ-გარედ გაგზავნოს. კოვანკომ საზღვარ-გარედ ახალ სისტემის რამდენიმე ჰაეროპლანი უნდა შეიძინოს.

**✦ ებრაელების უნივერსიტეტი.** ებრაელ კაპიტალისტებს რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება გაუმართავთ, რუსეთში ჩვენის ხარჯით ებრაელებისთვის განსაკუთრებული უნივერსიტეტი გახსენითო. უნივერსიტეტს სამი ფაკულტეტი ექნება: საექიმო, იურიდიული და მათემატიკური.

**✦ ფინლიანდიის შეერთების 100 წლის თავის დღესასწაული.** ამ წლის 5 სექტემბერს 100 წელიწადი სრულდება, რაც რუსეთმა ფინლიანდია შეიერთა. „რეჩის“ სიტყვით ამ დღეს ქალაქ ფრიდრიხსჰამში (ფინლიანდია) დიდი დღესასწაულები გაიმართება. დღესასწაულს ბევრი წარჩინებული პირი დაესწრება.

**✦ მინისტრის ამხანაგის წინააღმდეგ.** ამ დღეებში საერო განათლების მინისტრის ამხანაგ გეორგიევსკის პეტერბურგის ვ ყ ა ერთ გიმნაზიის დირექტორისთვის წერილი მიუწერია, ბავშვი № აძა და ამ კლასში მიიღეთო. თუმცა ამ კლასში ვაკანსია არ ყოფილა, მაგრამ დირექტორს პედაგოგიურ საბჭოსთვის მოუხსენებია მინისტრის ამხანაგის თხოვნა. საბჭოს ზოგიერთ წევრებს ფარული კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩენილა: რომ მასწავლებლებს არ შეეწყნარებინათ გეორგიევსკის თხოვნა. დირექტორი ძალიან ცუდ გუნებაზეა თურმე.

**✦ ვიტტეს მემუარი.** ვ ტტე ამ ჟამად გაცხარებით მუშაობს თავის მემუარების შესადგენად. ვიტტე ნამეტან ყურადღებას აქცევს იმ დროს, როდესაც ის პრემიერ-მინისტრად იყო. კარგა ბლომა ადგილს დაიჭერენ აგრეთვე რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ ამბები. მემუარებს ვიტტეს სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნებენ. მემუარებს ვიტტე საზღვარ-გარეთის ერთ-ერთ ბანკში ინახავს.

**✦ დაჯილდოვება.** „რეჩი“-ს კორესპონდენტი შემდეგ ამბავს იუწყება: სოფელ ბაგაევსკაში 30 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მსახურობს ლაზურინი. ლაზურინს მცირე ადგილი უჭერია, იგი სოფლის მწერალია. მთავრობამ ყურადღება მიაქცია მის მუშაობას და შარშან ვერცხლის მედალით დააჯილდოვა. წრეულსაც არ დაივიწყეს ლაზურინი და ოქროს მედალი გამოუგზავნეს. ამ დღეებში ლაზურინი დაიბარეს ატამანთან და გადასცეს, მედალის მიღებისა გამო ხაზინაში 30 მანეთი უნდა შეიტანოო. ლაზურინი თვეში 25 მანეთს იღებს, დიდი ოჯახი ჰყავს შესანახი და აბა საიდან გადაიხდის ამ ფულს. ლაზურინმა უარი განაცხადა მედლის მიღებაზე, მაგრამ ტყუილად. მეორე დღეს ატამანისგან მოწერილობა მიიღო, თუ 30 მანეთს არ გადაიხდი, მამულს გაგიყიდითო. საწყალი ლაზურინი ძალიან დაღონებულია. აღარ იცის რა წყალში გადავარდეს, ერთად ერთი სახლი აქვს და მის გაყიდვასაც უპირებენ. ჯილდოც ასეთი უნდა!

# კრიტეს საქმე

**კრიტეს საქმე მალე გადასწყდება.**

ამბობენ, სახელმწიფოები ამ დღეებში საბოლოოდ შეთანხმდებიან კრიტეს საქმის თაობაზეო. კრიტეს მიეცემა სრული ავტონომია და მის გუბერნატორად დაინიშნება ერთ-ერთი ევროპიელი პრინცი, ნათესავი ინგლისის მეფისა.

**ბოიკოტის მოსპობა.**

ბერძნების წინააღმდეგ ბოიკოტის მომწყობმა კომისიამ სალონიკში ცნობა მიიღო ოსმალეთის მთავრობისგან, რომ ოსმალეთი და საბერძნეთი უკვე მორიგდნენ კრიტეს საქმეზეო. ამიტომ კომისიამ დაადგინა ბერძნების წინააღმდეგ ბოიკოტი მოისპოსო. ამასთანავე კომისია აცხადებს, რომ ბოიკოტი ხელახლად დაიწყება, თუ საბერძნეთი კიდევ მტრობას დაუწყებს ოსმალეთსაო. გემების დამტვირთველთა ორგანიზაციის თავსმჯდომარემ კრიმალამ განკარგულება მოახდინა ტელეგრაფით, რომ სტამბოლსა, სმირნასა, ბეირუთსა და სხვა ქალაქებში ბოიკოტი მოისპოსო.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ნახ. ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. ბეევსკაია-ენგელი:** 6—7 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ტ. მარცინკევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვების და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—161)

---

# მუქთად საკოსტიუმო

საქონლისთვის ვგზავნი საქონლის ნიმუშების კოლექციას და პრეის-კურანტს. შეიცავს 60 გვ. დასურათებულია უკანასკნელ მოდებზე შეკერილ ტანისამ., კაცისა, ქალისა და ბავშვისა, ს მხედრო და სალდათებისა, საცვალი ფეხსაცმელი, შინაური საქონელი, გაგზავნის შეღავათიან პირობით, **უფასოდ.** ამ ადრესით: М. А. Бабушкинъ, Лодзь. N 52. წერილები რუსულად ან გერმანულად უნდა მოიწეროს. (Метцль и Ко. N 48329) (3—6.—1)

---

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუხჰალტრო კურსები

## ნ. ვ. აბრაამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ-—10)

---

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

# საკომერციო ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

სწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ა გარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილ სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ზალ.—7)

---

— ◀ **პრაქტიკული საკულინარო კურსები** ▶ —

# ე. ნ. ბისტროვისა

(პეტერ. არსებულ ვ. ი. ზუნსტის სამზარეულო სკოლის წესდების თანახმად)

სკოლის მიზანია გაიაფება და გაუმჯობესება ოჯახში საჭმლისა, სწავლება პრაქტიკული და თეორიული.

**პრაქტიკული**—შესწავლა და მომზადება სხვა და სხვა საჭმლისა, რუსულის, ადგილობრივის და ფრანგულისა; მცხვარის, მურაბების და სხვასი.

**თეორიული**—გაცნობა მოსწავლეთათვის მეხორცეობისა, სამზარეულოს და კვების ჰიგიენისა.

**კურსი ორი თვითაა.**—სწავლის ფასი კურსზე 25 მან. ცალკე შესვლა 75 კაპ. სწავლა სწარმ. 3-დან 7 საათზე კვირეების და დიდ უქმეების გარდა. მსურველთა ჩაწერა ყოველ დღე ნაშუადღევის 4 საათიდან. მოსწავლეთა რიცხვი განსაზღვრულია.

კურსებთან იხსნება სასადილო. იქნება 2, 3 და 4 კერძიან სადილები, შინაური კვასი, „პიროჟკები“, ნამცხვარი, ყავა და ჩაი. შეიძლება სადილისა, ვახშმის, ცალკე კერძების და ნამცხვარის შეკვეთა. ოლგას ქ., № 6. ფოსტისა და ვერის დალმართის მახლობლად. 1—1014—1)

---




# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის

## მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას,

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან, **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე**, საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—68)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**